პროექტი

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**დადგენილება №**

**2023 წლის ---- დეკემბერი; ქალაქი ბათუმი**

## „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

**მუხლი 1.**

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №19 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 01/09/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016215) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“:

1. მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტს „ბ.დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.ე“ და „ბ.ვ“ ქვეპუნქტები:

„ბ.ე) მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მულტიმუნიციპალური სივრცის დაგეგმარების გეგმის შემმუშავებელი ერთობლივი საბჭოს შემადგენლობასა და დებულების პროექტს;

ბ.ვ) უფლებამოსილია წერილობით მიმართოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკითხის სხდომის დღის წესრიგში შეტანის ან დღის წესრიგიდან ამოღების თაობაზე. ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე განმარტავს აღნიშნული საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეუტანლობის ან დღის წესრიგიდან ამოღების მიზეზს, რის შემდეგაც სავალდებულოა საკითხის კენჭისყრაზე დაყენება. საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის ან დღის წესრიგიდან ამოღების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება განხილვის გარეშე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ამასთანავე, აღნიშნული საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანა შესაძლებელია, თუ მას გავლილი აქვს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურები;“.

ბ) „დ“ ქვეპუნქტს „დ.დ$^{1}$“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ.დ$^{2}$“ ქვეპუნქტი:

„დ.დ$^{2}$) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით დებს ხელშეკრულებას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის სამეურნეო მიზნით გამოყენებისთვის დაინტერესებული პირისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ;“.

გ) „დ“ ქვეპუნქტს „დ.ჟ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ.რ“ ქვეპუნქტი:

„დ.რ) ახორციელებს „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს;".

დ) „ე.დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე.დ) შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების, გენერალური და განაშენიანების გეგმების/განაშენიანების დეტალური გეგმების კონცეფციებსა და პროექტებს;".

ე) „ე" ქვეპუნქტს „ე.დ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე.დ$^{1}$" და „ე.დ$^{2}$" ქვეპუნქტები:

„ე.დ$^{1}$) შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმას;

ე.დ$^{2}$) შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთზე სპეციალური დანიშნულებით ჭრის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას;".

ვ) „ე.ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე.ვ) მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად ქმნის სათათბირო ორგანოებს, მათ შორის, საბჭოებს, კომისიებს და სამუშაო ჯგუფებს;".

ზ) „ე.თ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე.თ) მშენებლობის ნებართვის სფეროში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

თ) „ე.ი" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

ი) „ე.ნ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე.ნ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას გარე რეკლამის განთავსების ნებართვის, ასევე გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით;".

2. მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

**საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე**

## განმარტებითი ბარათი

### პროექტის სახელწოდება და სათაური

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი**

**ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ**

**ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:**

საქართველოს კანონის „თავდაცვის კოდექსი" 180-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს, რომლებიც უკავშირდება სამხედრო აღრიცხვასა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, წვევამდელთა ერთვნულ სამხედრო სამსახურს (გაწვევის ორგანიზებას, გამოძახებას, გაწვევას, გაწვევისგან გათავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას), სამობილიზაციო სარეზერვო სამხედრო სამსახურს (ჩარიცხვას, გამოძახებას, გაწვევას, გაწვევისგან გათავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას), 2024 წლის 01 იანვრამდე ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერი ან/და მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სტრუქტურული ერთეული, ხოლო 2024 წლის 01 იანვრიდან აღნიშნულ უფლებამოსილებებს კოდექსის შესაბამისად განახორციელებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მიზნით, 2024 წლის 01 იანვრიდან უნდა გაუქმდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი ზემოაღნიშნული უფლებამოსილებების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.

ასევე, დადგენილების პროექტით გათვალისწინებული სხვა ცვლილებები გამოწვეულია საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შესული ცვლილებებით, რითაც მოხდება მერიის დებულების ცალკეული ნორმების კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანა.

**ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:**

**დადგენილების პროექტის მიხედვით, მერიის დებულების ცალკეული ნორმების კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით:**

1. მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის:

ა) „ბ" ქვეპუნქტს „ბ.დ" ქვეპუნქტის შემდგომ ემატება შემდეგი შინაარის „ბ.ე" და „ბ.ვ" ქვეპუნქტები:

„ბ.ე) მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მულტიმუნიციპალური სივრცის დაგეგმარების გეგმის შემმუშავებელი ერთობლივი საბჭოს შემადგენლობასა და დებულების პროექტს;

ბ.ვ) უფლებამოსილია წერილობით მიმართოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკითხის სხდომის დღის წესრიგში შეტანის ან დღის წესრიგიდან ამოღების თაობაზე. ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე განმარტავს აღნიშნული საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეუტანლობის ან დღის წესრიგიდან ამოღების მიზეზს, რის შემდეგაც სავალდებულოა საკითხის კენჭისყრაზე დაყენება. საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის ან დღის წესრიგიდან ამოღების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება განხილვის გარეშე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესო-ბით. ამასთანავე, აღნიშნული საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანა შესაძლებელია, თუ მას გავლილი აქვს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურები;".

ბ) „დ" ქვეპუნქტს „დ.დ$^{1}$" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატება შემდეგი შინაარსის „დ.დ$^{2}$" ქვეპუნქტი:

„დ.დ$^{2}$) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით დებს ხელშეკრულებას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის სამეურნეო მიზნით გამოყენებისთვის დაინტერესებული პირისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ;".

გ) „დ" ქვეპუნქტს „დ.ჟ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატება შემდეგი შინაარსის „დ.რ" ქვეპუნქტი:

„დ.რ) ახორციელებს „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს;".

დ) „ე.დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე.დ) შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების, გენერალური და განაშენიანების გეგმების/განაშენიანების დეტალური გეგმების კონცეფციებსა და პროექტებს;".

ე) „ე" ქვეპუნქტს „ე.დ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატება შემდეგი შინაარსის „ე.დ$^{1}$" და „ე.დ$^{2}$" ქვეპუნქტები:

„ე.დ$^{1}$) შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმას;

ე.დ$^{2}$) შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთზე სპეციალური დანიშნულებით ჭრის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას;".

ვ) „ე.ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე.ვ) მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად ქმნის სათათბირო ორგანოებს, მათ შორის, საბჭოებს, კომისიებს და სამუშაო ჯგუფებს;".

ზ) „ე.თ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე.თ) მშენებლობის ნებართვის სფეროში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

თ) „ე.ი" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნება.

ი) „ე.ნ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე.ნ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებულობს გადაწყვეტილებას გარე რეკლამის განთავსების ნებართვის, ასევე გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით;".

**დადგენილების პროექტის მიხედვით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის გაუქმების მიზნით მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტი ამოღებული იქნება.**

**ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

დადგენილების მიღებიდან გამომდინარე არ არის საჭირო რაიმე სახის დამა-ტებითი ხარჯის გაწევა.

**ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:**

დადგენილების პროექტის მიღებით შემცირდება ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი.

**ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:**

დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსური შედეგების დადგომას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება.

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწე-სებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექ-ტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები არ მიღებულა.

**ე) პროექტის ავტორი:**
დადგენილების პროექტის ავტორია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

**ვ) პროექტის ინიციატორი:**
დადგენილების პროექტის ინიციატორია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

**ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის**
**ადმინისტრაციის უფროსი**
**ნუკრი დეკანაძე**